ეკა დარბაიძე *

მემარჯვენე პოლიტიკური ძალების აღზევება საფრანგეთში და „ეროვნული ერთობის“ წარმატებული რებრენდიგი

აბსტრაქტი

მულტიკულტურალიზმის წინააღმდეგ არსებულმა უკმაყოფილებამ, ეკონომიკურმა და მზარდმა მიგრაციულმა კრიზისებმა, ტერორიზმის საფრთხის გაძლიერებამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციების გააქტიურება გამოიწვია. ეჭვგარეშეა, რომ რადიკალური მემარჯვენე ძალები განსაკუთრებული მხარდაჭერითა და პოპულარობით სარგებლობენ საფრანგეთში, ჰოლანდიაში, გერმანიასა და უნგრეთში. საფრანგეთში „ეროვნული ერთობა“ ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადენს, იგი ფრანგულ საზოგადოებაში მიიჩნეოდა ღიად ფაშისტურ და ექსტრემისტულ პარტიად, რომელიც ვერ ასახავდა საზოგადოების მოთხოვნებსა და მისწრაფებებს და შესაბამისად ვერ პასუხობდა ფრანგული სახელმწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგს. თუმცა მას შემდეგ, რაც აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერი მარინ ლე პენი გახდა, პარტიაში მან სათავე დაუდო მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს, და თავის გარშემო ფრანგი ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზება მოახერხა.

სტატიის მიზანია დაადგინოს, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს ფრანგ ამომრჩევლებში ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალებისადმი გაზრდილი მხარდაჭერა და მათი პოლიტიკური სიმპათიები. ეკონომიკური კრიზისის შემდეგ უმუშევრობა ევროპის არაერთი სახელმწიფოს და მათ შორის საფრანგეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა. მიგრანტებისთვის თავშესაფრისა და დასაქმების უზრუნველყოფის საჭიროება ზრდის სამუშაო ძალის კონკურენციას დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, რამაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერა

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

შედარებით ღარიბ მოსახლეობაში მიგრანტთა მიმართ არსებულ წინააღმდეგობები. პარტიის პოლიტიკური დისკურსის ცვლილება, ეკონომიკური გამოწვევები და მიგრანტთა კრიზისები ეს ის ფაქტორებია, რომლებმაც ხელი შეუწყვეს „ეროვნული ერთობას“ წარმოჩენას ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ანტისისტემურ მოძრაობად საფრანგეთში. “ეროვნული ერთობის“ მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა და გადაწყვეტილებები კარგად ეხმიანება ფრანგი ელექტორატის მოთხოვნებს, რომლებმაც რამდენიმე წლის განმავლობაში განიცადეს ეკონომიკური, პოლიტიკური და იდენტობის კრიზისი და იმედგაცრუებულნი აღმოჩნდნენ ფრანგულ პოლიტიკური ლანდშაფტზე არსებული მეინსტრიმული პარტიების საქმიანობით.

საკვანძო სიტყვები: „საფრანგეთის ეროვნული ფრონტი“, „ეროვნული ერთობა“, რადიკალური მემარჯვენე პარტია, პოპულიზმი, ულტრამემარჯვენე ძალები.

შესავალი

2001 წლიდან უკიდურესმა მემარჯვენე პოლიტიკურმა ძალებმა მთელს კონტინენტზე მნიშვნელოვან წარმატებას მიღწიეს. მათ პოლიტიკურ აღმავლობას ხელი შეუწყო 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულმა ტერორისტულმა თავდასხმამ. მიუხედავად იმისა, რომ უკიდურეს მემარჯვენე ძალებში ისლამისა და ისლამური სამყაროს კრიტიკის იდეა მანამდეც არსებობდა, აღნიშნული ინციდენტი ერთგვარ ნეოპოლიტიკური დისკურსის ათვლის ცენტრალურ ელემენტად იქცა (Eller, 2017).

ექსტრემალური და რადიკალური ჯგუფები ევროპაში მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. ისინი უმცირესობებს წარმოადგენენ, თუმცა უმეტესობამ განვითარების ინდივიდუალური გზა განვლო, გეოპოლიტიკური ცვლილებებთან ადაპტირდნენ და შესაბამისად თავიანთი დროის ერთგვარ პროდუქტად გვევლინებიან.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ახალი ადამიანისა და საზოგადოების შექმნის სურვილმა, ერთგვარად სათავე დაუდო იდენტობის მოთხოვნებს, კეთილდღეობის სახელმწიფოსა და მულტიკულტურალიზმთან ბრძოლას (Stockemer, 2017). ნაციონალისტური და პოპულისტური პარტიების შესამჩნევი ზრდა ევროპაში 2010-წლებიდან იწყება, როდესაც მეინსტრიმინგულმა პარტიებმა დაიწყეს აქტიური ბრძოლა მხარდამჭერთა მოსაპოვებლად. ეკონომიკურმა კრიზისმა, საერთაშორისო ტერორიზმმა, მზარდმა მიგრაციამ და მულტიკულტურალიზმით მზარდმა უკმაყოფილებამ, ევროპულ ქვეყნებში რადიკალი მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გააქტიურება და მათდამი მხარდაჭერის ზრდა განაპირობა. დღეს ევროპის სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში ხშირად ევროკავშირს ერთგვარად "ბრალს სდებენ" ულტრა მემარჯვენე პოპულიზმის გაძლიერების ხელშეწყობაში, მათი შეფასებით ევროპული კავშირი ხელს უწყობს კონსერვატიული იდეების გავრცელებას ევროსივრცეში (Lorriaux, 2017). ამ რთულ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ვითარებაში, პოპულიზმის აღმავლობიდან წამოსული საფრთხეები ალბათ არსად დგას ესოდენ მწვავედ, როგორც ეს საფრანგეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში გვევლინება.

2017 წელს კი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მარიან ლე პენი კვლავ აღმოჩნდა „ეროვნული ფრონტის" ლიდერი, რომელმაც არჩევნების პირველივე ტურში საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგები დადო. დღეს ევროპაში ძალიან ბევრს მართლაც გულწრფელად სჯერა, რომ საფრანგეთი ეს ევროპის ის სახელმწიფოა, სადაც ნაციონალისტურ ძალებს ძალუძთ არჩევნებზე აჩვენონ სიმბოლური ძალაუფლება. ევროპის უკიდურესი მემარჯვენე ძალებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ შიდა სცენაზე, „ეროვნული ერთობა" უდავოდ წარმოადგენს მათთვის სასურველ და მისაბაძ პოლიტიკურ მოდელს. „ეროვნული ერთობის" მხარდაჭერთა ზრდის ფაქტორების ასახსნელად აუცილე-

ბელია კრიტიკული ფიქრი და ანალიზი ძირითადი პარტიების მიერ ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვლილ გზაზე. მას შემდეგ, რაც მარინ ლე პენმა „ეროვნული ფრონტის“ პრეზიდენტობა (FN) მამისაგან - ჟან მარი ლე პენისაგან 2011 წლის იანვარში გადაიბარა, ამ რადიკალურმა მემარჯვენე პარტიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სამ ფრონტზე, ეს გახლავთ: პარტიის წევრთა რაოდენობრივი მაჩვენებელის ზრდა, არჩევნების შედეგების მხრივ მიღწეული წარმატებები და საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია (მაგალითად გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ თითქმის 20%-ით შემცირდა (70%-დან 50%-მდე) საფრანგეთში იმ ამომრჩელეთა მაჩვენებელი, რომელიც პარტია „ეროვნულ ერთობას“ ქვეყნის „საფრთხედ“ მიიჩნევდა (Stockemer D.,&Barisione M., 2016).

„ეროვნული ერთობა“ და მისი პოპულარობის ზრდის მიზეზები, პარტიის წარმატებული რებრენდინგი

1972 წელს როდესაც ჟან-მარინ ლე პენმა დააფუძნა პარტია „ეროვნული ფრონტი“, აღნიშნულმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ შეძლო ფრანგი ამომრჩეველის მხარდაჭერის მოპოვება. პოლიტიკური ორგანიზაცია პოზიციონირებდა მემარჯვენე პოპულისტური, ანტიკომუნისტური და ქსენოფობიური მოძრაობის იმიჯით, რომელიც მხარს უჭერდა სახელმწიფოს როლისა და ზოგადად სახელმწიფო ინტერვენციის შემცირებას და მკვეთრი საიმიგრაციო შეზღუდვების დაწესებას (Davies, 1999). ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პლატფორმას თითქმის ერთი ათწლეულის განმავლობაში არანაირი დადებითი საარჩევნო რეზონანსი არ მოჰყოლია ელექტორატის მხრიდან, რადგან იგი საზოგადოებაში აღიქმებოდა ექსტრემისტულ პარტიად, რომელიც ვერ ასახავდა ფრანგი ამომრჩევლების მოთხოვნებსა და მისწრაფებებს და შესაბამისად სრულად იყო აცდენილი ფრანგული სახელმწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგს.

„ეროვნული ფრონტის“ თავდაპირველი აღმავლობა 1980-იანი წლებიდან იწყება და იგი საფრანგეთში მომხდარ მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკური და პოლიტიკურ გარდაქმნებს უკავშირდება, რამაც FN–ის პოლიტიკური პლატფორმა გაცილებით უფრო მიმზიდველი გახადა, პარტიას არსებულმა პოლიტიკურმა დღის წესრიგმა მეტი ლეგიტიმაცია და მიმზიდველობა შესძინა ფრანგ ელექტორატში (Bréchon&Mitra, 1992). პოლიტიკური ორგანიზაციის რეიტინგის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი უკავშირდება მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში არსებულ მწვავე ეკონომიკურ კრიზისს, რამაც ქვეყანაში უმუშევრობა და შემცირებული ეკონომიკური ზრდა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი ცდილობდა ნეო-კეინზისტური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის დასაძლევად, მისი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და ამ ყოველივემ კიდევ უფრო მეტად გაზარდა პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკით უკმაყოფილო ამომრჩეველთა რაოდენობა საფრანგეთში (Stockemer, 2017). შემდგომი ფაქტორი, რომელმაც გაცილებით ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა „ეროვნულ ფრონტს“ წარმატების მისაღწევად, ეს იყო მიგრაციის თემა, როდესაც საფრანგეთში იმიგრაცია გახდა ერთ-ერთი მწვავე და აქტუალური საკითხი მიტერანის მიერ გატარებული მიგრაციული პოლიტიკის გამო. კერძოდ, მისი მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვნად გამარტივდა და ღია გახდა საიმიგრაციო პოლიტიკა, რამაც ჩრდილოეთ აფრიკიდან მიგრანტთა ნაკადების სერიოზული ზრდა გამოიწვია, და საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად შეცვალა საფრანგეთის დემოგრაფიული სურათი (Stockemer, 2017).

1985 წელს პრეზიდენტმა მიტერანმა მიიღო გადაწყვეტილება საფრანგეთის საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ მან ქვეყანა ნაციონალურ და ეროვნულ დონეზე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადაიყვანა (Miller, 1986). სწორედ აღ-

ნიშნულმა ცვლილებამ გაუმარტივა „ეროვნულ ფრონტს“ და მის მსგავს პატარა პარტიებს საფრანგეთში მოეპოვებიათ მანდატები ეროვნულ ასამბლეაში. გასული საუკუნის 80-იან წლებში FN–მა შეძლო წარმატებით გამოეყენებინა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად გამოწვეული მძიმე სოციალური ფონი, საარჩევნო სისტემა და მიგრაციული ტენდენციები. სწორედ აღნიშნული ფაქტორების გამოყენებით პარტიამ შეძლო წარმატებული პოლიტიკური პლატფორმის ფორმირება (Stockemer, 2017), შესაბამისად, „ეროვნულმა ფრონტმა“ ხელი შეუწყო ქსენოფობიური და ავტორიტარული განწყობების გაღვივებას ფრანგულ ნაციონალურ პოლიტიკაში. პოლიტიკური ორგანიზაცია ცდილობდა ამომრჩევლებში მკაფიოდ წარმოეჩინა არსებული კავშირი არაევროპელი მიგრანტების, კრიმინალისა და უმეშვევრობის ზრდის მაჩვენებლებს შორის. შესაბამისად ლე პენმა გაზარდა პოპულისტური შინაარსის გზავნილები ამომრჩევლებში, რომლითაც შეძლო უფრო ფართო აუდიტორიის მოზიდვა და მის მიმართ ფრანგულ საზოგადოებაში გარკვეული ნდობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. საფრანგეთის პოლიტიკურ სისტემაში მომხდარმა ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ ხელი შეუწყო პარტიას მიეღწია პირველი საარჩევნო წარმატებებისათვის. 1984 წლის ევროპის საპარლამენტო არჩევნებში „ეროვნულმა ფრონტმა“ ხმების 11%-ით ევრო პარლამენტში 10 მანდატი მოიპოვა (France Politique, 2015). ორი წლის შემდეგ, 1986 წელს, პარტიამ 35 მანდატი აიღო საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში (France Politique, 2015), ხოლო 1988 წელს ჟან-მარი ლე პენმა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 14,38%-ი მოიპოვა (France Politique, 2015).

გასული საუკუნის 90-იანი წლებში გლობალიზაცია გახდა მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევის საფუძველი საფრანგეთის ნაციონალურ პოლიტიკაში, ნაწილობრივ ეს იყო 1992 წლის „მაასტრიხტის ხელშეკრულების“ შედეგი, რომლის საპასუხოდ, „ეროვ-

ნული ფრონტის“ პოლიტიკურმა რიტორიკამ გარკვეული დირექ-ტივა შეიძინა ეკონომიკური პროტექციონიზმისა და ნეო-ლიბერა-ლიზმის კრიტიკის მიმართულებით; ჟან მარიან ლე პენი ამტკიცებ-და, რომ საფრანგეთის ხელისუფლების მიერ გლობალურ თავისუ-ფალ ვაჭრობაზე გადასვლა და მისი მხარდაჭერა იყო სწორედ საფრანგეთის ეკონომიკის ზრდის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი მიზეზი, შესაბამისად გლობალიზაციისადმი წინააღმდე-გობა პარტიის პოპულისტურ რიტორიკაში წარმატებულად იქნა გამოყენებული (Bastow,1997).

პარტიის შემდგომი წარმატებისათვის 2001-2019 წლები გა-დამწყვეტი აღმოჩნდა. 2018 წელს საფრანგეთის „ეროვნულმა ფრონ-ტმა“ სახელწოდება შეიცვალა და „ეროვნული ერთობა“ (National Rally) დაირქვა. პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 1972 წელს დაარსდა ახალი ნეო-ფაშისტური წესრიგის მძაფრი იმპულსების ძლიერი გავლენების შედეგად, ოცდაათწლიანი არსებობის შემდეგ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. „ეროვნული ერთობის“ პარტიული დოქტრინა განისაზღვრა მისი ახალი ლიდერის, მარინ ლე პენის ინიციატივით, რომელმაც მამისაგან და პარტიის დამფუძნებლისგან - ჟან მარი ლეპენისაგან 2011 წელს გადაიბარა ორგანიზაციის ლი-დერობა. მას შემდეგ, რაც მარინ ლე პენმა პარტიაში მამის ადგილი დაიკავა, „ეროვნულ ფრონტში“ მან სათავე დაუდო მნიშვნელოვან ტრანსფორმაციულ პროცესებს პარტიაში და წარმატებით წამოიწყო დე-დემონიზაციის კამპანია (De-demonization Campaign), როგორც ფრანგულ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური აღქმის შეცვლის სტრატეგია (Beardsley, 2017). აღნიშნული სტრატეგია ითვალისწი-ნებდა სადავო წევრების განდევნას ორგანიზაციიდან და პარტიის პოლიტიკური დღის წესრიგის ასპექტების შერბილებას. მარინ ლე პენმა შეცვალა პარტიის დისკურსი, რათა გაენეიტრალებინა მკვეთ-რი ქსენოფობიური მესიჯები და ჩაანაცვლა იგი შედარებით უფრო "მოკრძალებული“, პოპულისტური რიტორიკით. მარინმა პარტი-

ული რიტორიკიდან ამოიღო ჟან-მარი ლე პენის ლიდერობის პერიოდში გამოყენებული ტრადიციული რასისტული, სექსისტური და ანტისემიტური კომენტარები. საბოლოოდ კი მიზნად დაისახა რადიკალურ ელემენტების ამოღებით, ამჯერად უკვე „ეროვნული ერთობა“ ფართო საზოგადოების წინაშე წარმოჩენილიყო, როგორც ზომიერი პოლიტიკური ძალა საფრანგეთში. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა მისი ბოლოდროინდელი პოლიტიკური ნაბიჯი, როდესაც მან ასევე შეცვალა პარტიის სახელწოდება და „ეროვნულ ფრონტს“ - „ეროვნული ერთობა“ („Rassemblement National“) უწოდა. აღსანიშნავია, რომ ახალი ლიდერის ეს სტრატეგია კიდევ უფრო მეტად მიმანიშნებელი იყო და ხაზს უსვამდა პარტიის მცდელობას, მოეშორებინა ფაშისტური პარტიის იარლიყი, თუმცა ბუნებრივია, რომ ეს იყო უფრო ერთგვარი პიარ ტექნოლოგიის ნაწილი, ვიდრე პარტიის რეალური იდეოლოგიური ტრანსფორმაციის მცდელობა, ვინაიდან რეალურად ძალიან მცირეა იდეოლოგიური განსხვავებები ჟან მარი ლე პენის დროინდელ და მარინის ახალ „ეროვნულ ერთობას“ შორის (Beardsley, 2017).

„ეროვნული ერთობა“ აქტიურად აგრძელებს საკუთარი ნეონაცისტური რიტორიკით ფრანგი ელექტორატის ყურადღების კონცენტრირებას ერისა და იდენტობის თემებზე. პარტია პოზიციონირებს და პრეტენზიას აცხადებს წარმოჩინდეს ფრანგული სახელმწიფოს ერთგვარ „მცველად“, რომელიც წარმოგვიდგენს ფრანგ ერს, როგორც სუსტს და დაუცველს გლობალიზაციის შედეგებისა და ტრანსნაციონალური მოთამაშეების კონტექსტში, იმიგრაცია კი, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევს წარმოადგენს ქვეყნისათვის, მათი განცხადებით საფრთხეს უქმნის ფრანგული სახელმწიფოს იდეას და შესაბამისად, ფრანგულ იდენტობას (Stockemer & Barisione, 2017). აშკარაა, რომ „ეროვნული ერთობისთვის“ მთავარ საკითხს, ისევე როგორც სხვა ნეო–ნაცისტური პარტიების შემთხვევაში, არ წარმოადგენს მემარჯვენე ან მემარცხენეობის შესახებ არსე-

ბული რწმენა, რადგან „ეროვნული ერთობის“ პლატფორმა ემთხვევა როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე იდეოლოგიურ ღირებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნული ერთობა“ იზიარებს საერთო იდეოლოგიურ მახასიათებლებს, როგორიცაა აქცენტირება ტრადიციულ ღირებულებებსა და ანტიმიგრაციულ რიტორიკაზე, პარტიის ეკონომიკური იდეოლოგია მომდინარეობს ტიპიური მემარჯვენე შეხედულებებიდან. გარდა ამისა, „ეროვნული ერთობა“ იზიარებს უკიდურესი მემარცხენეობისათვის დამახასიათებელ ანტი-ისტებლიშმენტურ პოლიტიკას, ტრანსნაციონალურ კორპორაციებისადმი ზიზღსა და სოციალური დახმარების პროგრამების მხარდაჭერას. ამასთან, იგი განსხვავდება ტრადიციული მემარცხენე პარტიებისაგან ნაციონალისტური სურვილის გამო, დაიცვას და გაზარდოს ეთნო-მოქალაქეების სარგებელი, ამავე დროს შეამციროს უცხოელებისთვის სხვადასხვა სახის შეღავათები (Eger & Valdez, 2015). ლე პენის ახალი სტრატეგია „ეროვნული ერთობის“ დისკურსის განახლების შესახებ შეიძლება აღქმული იქნას, როგორც პარტიისა და მისი ლიდერის მცდელობად გადაფარონ და ერთგვარად უარყონ პარტიის რასისტული ბაზისი და რეალობის გადაფარვით შეძლონ დარჩნენ აქტიურ პოლიტიკურ ძალად ფრანგულ პოლიტიკაში. რეალურად პარტია კვლავაც ინარჩუნებს იდენტურ იდეოლოგიურ პლატფორმას და იმავე ტაქტიკის გამოყენებით ცდილობს მიმართოს ამჯერად ამომრჩეველთა უფრო ფართო აუდიტორიას. სწორედ ამ მიზნით, მარინ ლე პენი ცვლის პარტიის ყოფილი ლიდერისათვის დამახასიათებელ რადიკალურ რიტორიკას უფრო პოპულისტური, მაგრამ შედარებით რესპექტაბელური რიტორიკით (Alduy and Wahnich, 2015).

პოპულიზმის ხარისხის ეს ტრანსფორმაცია უფრო თვალსაჩინო გახდა საფრანგეთის ბოლო ორ საპრეზიდენტო არჩევნებზე “ეროვნული ერთობის“ მიერ წარმოდგენილ პროგრამებში. ჟან მარი ლე პენის 2007 წლის საარჩევნო პლატფორმას, რომელიც 69 გვერდს

მოიცავდა, ჰქონდა ფსევდო-სამეცნიერო სტილი და გამოყენებული იყო არაერთი სტატისტიკური ინფორმაცია და შედარებით უფრო ნეიტრალური ტონი. პროგრამაში არ იყო ნახსენები პოპულისტური პარტიების ძირითადი სოციალური ბაზისი - დაბალი და საშუალო ფენები, ასევე არ გვხდებოდა მათთვის რაიმე კონკრეტული პოლიტიკური შეთავაზება პოპულისტური კონოტაციებით და შეიძლება ითქვა, რომ პროგრამას ძალიან მცირე დოზით, მაგრამ მაინც გასდევდა ანტიელიტური ხასიათი. „ეროვნული ერთობის“ მიერ წარდგენილ საარჩევნო პროგრამაში ასევე არ ყოფილა ნახსენები, არც "UMPS" („კავშირი სახალხო მოძრაობისათვის“) და არც საფრანგეთის „თაღლითური ელიტა“, ასევე არ იქნა გამოყენებული ტერმინი "კორუფცია". ფაქტობრივად დოკუმენტს მხოლოდ გარკვეულწილად დაჰკრავდა ანტიელიტური ტონი, რომელშიც კრიტიკის ობიექტს არა ადგილობრივი, არამედ მხოლოდ საერთაშორისო ელიტები წარმოადგენდნენ (Liberation, 2017).

თუმცა აღნიშნული პროგრამის საპირისპიროდ, მარინ ლე პენის 2012 წლის საპრეზიდენტო პროგრამა მოიცავდა და სრულად აკმაყოფილებდა პოპულიზმისათვის აუცილებელ ყველა კომპონენტს. რეალურად პროგრამა არ წარმოადგენდა და არ ატარებდა პარტიული პლატფორმის სახეს, არამედ წარმოდგენილი იყო როგორც მარინის "პირადი" პროექტი, რომელიც მარინ ლე პენს წარმოაჩენდა როგორც სახელმწიფოს "კრიზისების მენეჯერს" და როგორც ხალხის ერთადერთ, უალტერნატივო ლიდერს, ვისაც საფრანგეთის აღდგენა და გაძლიერება შეეძლო (Marine Le Pen 2012). მისი ეს პერსონიფიკაცია სრულად ეხმიანებოდა პროგრამის სათაურს: "ჩემი პროექტი, საფრანგეთისა და ფრანგი ხალხისათვის" და "მარინ ლე პენი, ხალხის ხმა, საფრანგეთის გონი" და წარმოგვიდგენდა მას, როგორც საფრანგეთის ქარიზმატულ ლიდერს. პროგრამა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის აღსადგენად მხოლოდ ორ არჩევანს სთავაზობდა ფრანგ ხალხს: ხელფასების შემცირება და სოციალური დაცვის სის-

ტემის დემონტაჟი; პროგრამის მიხედვით მარინ ლე პენი წარმოგვიდგებოდა, როგორც შრომისმოყვარე, რიგითი ფრანგი მოქალაქეების ინტერესების დამცველი, სწორედ იმ მოქალაქეების, რომლებიც იმართებოდნენ ქვეყნის სათავეში მოკალათებული კორუმპირებელი პოლიტიკური და სოციალური ელიტებით. „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი საკუთარ ამომრჩეველს ჰპირდებოდა არა მხოლოდ პარტიული ელიტის ძვირადღირებული ხარჯებისა და გადაჭარბებული ანაზღაურების შეჩერებას, არამედ პირობას დებდა, რომ ასევე განსაზღვრავდა საფრანგეთის პოლიტიკური ელიტის მდიდრული ცხოვრების წესს, როგორც საფრანგეთის ვალების კრიზისის უმთავრეს მიზეზს (Marine Le Pen 2012). პარტიის პროგრამა აცხადებდა, რომ მას სურდა დაეძლია ქვეყანაში არსებული კორუფცია, ელიტების დომინირება, შეემცირებია საფრანგეთის დამოკიდებულება საერთაშორისო ორგანიზაციებზე და ასევე ყურადღებას ამახვილებდა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: სოციალური კლასები, ხელფასები, მსყიდველობითი უნარი და სოციალური და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. გარდა ამისა, „ეროვნული ფრონტის“ პროგრამა მოიცავდა ისეთ პოპულისტურ დაპირებებს, როგორიცაა: დაბალი ხელფასების ზრდა, საფრანგეთის ეკონომიკის დაცვა უცხოური გავლენების წინააღმდეგ, მოქალაქეთა შრომის ღირსეული საზღაური და ა.შ. (Marine Le Pen 2012).

2000-იანი წლების დასაწყისში ჟან მარინ ლე პენმა ორი ძირითადი პარტიის ერთ პოლიტიკურ სუბიექტად გასაერთიანებლად ტერმინი ”UMPS” გამოიყენა, რომელშიც იგი მოიაზრებდა კონსერვატიული UMP-ს („კავშირი სახალხო მოძრაობისათვის“) და PS-ს („საფრანგეთის სოციალისტური პარტია“). აღნიშნული ტერმინი ძალიან მალე აიტაცა ფრანგულმა საზოგადოებამ, მათ შორის მედია საშუალებებმა. სწორედ მარტივი ლოზუნგი წარმოადგენდა ფრანგული პოლიტიკური ველის ხედვის მარტივ ვერსიას: სისტემა ემსახურება იგივე ინტერესებს, იქნება ეს წარმოდგენილი ნიკოლა

სარკოზით, თუ ფრანსუა ოლანდით და ერთადერთი ხსნა, რეალური ალტერნატივა მდგომარეობდა ჭეშმარიტ „ანტისისტემურ“ პარტიაში. (France Politique, 2000), „ეროვნულმა გაერთიანებამ“ მოახერხა წარმოჩენილიყო საზოგადობაში, როგორც ყველაზე სანდო ანტი-ესტაბლიშმენტურ მოძრაობად ათწლეულების განმავლობაში. „ეროვნული გაერთიანების“ „დემონიზაცია”, წარმოადგენდა ერთგვარ ავთენტურობის საფუძველს ”კორუმპირებული ელიტების წინაღმდეგ”. მარინ ლე პენის მიერ შემოთავაზებული არსებული „ერთიანი სისტემის“ არსებობისა და უცვლელეობის იდეის საზოგადოებაში ვერიფიკაციისათვის, მისმა პარტიამ პირველ რიგში გამოიყენა რამდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტი. კერძოდ, პარტიის ლიდერებმა არაერთხელ აღნიშნეს და ხაზი გაუსვეს სარკოზის პოლიტიკასა და ჰოლანდიის მთავრობებს შორის არსებულ მსგავსების ტენდენციებს, რაც განსაკუთრებით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში მკაფიოდ იკვეთებოდა: ორივე წამყვანი პარტია ძირითადად პრო-ევროპული იყო და ორივე მყარად იცავდა ევროპულ ლიბერალურ ხედვას; ორივე მათგანს ჰქონდა მსგავსი ნარატივები და პასუხები 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და ევროპის სესხის კრიზისთან დაკავშირებით, ასევე მათ ტრადიციულად წარმოადგინეს იდენტური შეხედულებები საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებთან მიმართებაში. შესაბამისად, „ერონული ფრონტის“ მიერ დაწყებული დისკურსი, რომ ორივე ბლოკის პოლიტიკური კურსი შეუსაბამო და სრულიად წამგებიანი იყო, მოგვიანებით დადასტურდა საფრანგეთის ეკონომიკისა და მისი გავლენის შემცირებით ევროკავშირის ზონაში. ამასთანავე, ლე პენმა განაცხადა, რომ აღნიშნული პოლიტიკური ძალები ხელს უწყობდნენ „დემოკრატიის აღდგენას“, რათა გადაელახათ და დაეძლიათ „მათი კანონების არადემოკრატიულად წარმოჩენა ევროპულ მთავრობებში“, რომელმაც კიდევ უფრო გაამძაფრა დემოკრატიის დეფიციტი ევროპაში.

„ეროვნული ერთობისთვის“ რეალური დემოკრატია ხშირად ასოცირდება პირდაპირ დემოკრატიასთან და სახალხო რეფერენდუმებზე ხალხის რეგუალური ნების გამოხატვასთან. რეფერენდუმის თემა რამდეჯერმე გაჟღერებული აღმოჩნდა ლე პენის დისკურსში, რომელიც კიდევ უფრო და უფრო გამწვავდა ნიკოლა სარკოზის გადაწყვეტილების შემდეგ, როდესაც მან ხელი მოაწერა 2008 წელს „ლისაბონის ხელშეკრულებას“, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის რეფერენდუმზე უარი ითქვა ევროპულ კონსტიტუციაზე. ფრანგული პოლიტიკის ამ ბინარულმა ხედვამ საშუალება მისცა „ეროვნულ ფრონტს“ გამხდარიყო წამყვანი „ანტისისტემური“ პარტია, რომელიც მეტწილად ექსტრემისტული და პოპულისტური მოძრაობიდან ცენტრისაკენ გადაიხარა. ტრადიცული პოლიტიკის უარყოფამ მეხუთე რესპუბლიკაში მიაღწია ყველა დროის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს. საფრანგეთის პრემიერ მინისტრის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ ფრანგულ სტრატეგიაში, წინა პლანზე წამოიწია პოლიტიკოსთა და მათ მიერ კორუფციასთან შემხებლობის მწვავე თემამ, რომლებიც საფრანგეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის აზრით, ხშირად შორს დგანან საზოგადოებრივი რეალობისაგან და სრულიად უმწეონი არიან ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გზების ძიებაში (Quencez M.& Michelot M, 2017).

ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა

დღეს ევროპელ მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ეკონომიკური არასტაბილურობა შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელმაც ფრანგ ამომრჩევლებში „ეროვნული ერთობის“ რეიტინგის ზრდას შეუწყო ხელი. პარტია წარმატებით ცდილობდა და კვლავაც ცდილობს მოიპოვოს ფართო საზოგადოების მხარდაჭერა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა და ფრანგული ეკონომიკის დაბალი ზრდის პირობებში. 2015 წელს მა-

ნუელ ფუნკეს, მიროს შულარიკისა და კრისტოფ ტრებიშის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგების თანახმად (Manuel Funke, Moritz Schularick, and Christoph Trebesch (2015), უკიდურესი მემარჯვენე პარტიები არიან სწორედ ეკონომიკური კრიზისების ყველაზე ფართო ბენეფიციარები ამა თუ იმ სახელმწიფოში. კვლევის თანახმად, ზოგადად მემარჯვენე პარტიებისათვის ხმის მიცემა დაახლოებით 6%-იდან 10%-მდე იზრდება სახელმწიფოში არსებული ფინანსური კრიზისის შემდეგ. კვლევები ადასტურებენ, რომ ოპოზიციური ძალების გაძლიერება ზრდის ფრაგმენტაციას ეროვნულ პოლიტიკურ სისტემებში, რის შედეგადაც სუსტი და ნაკლები ეფექტური ხდება ქვეყნის მთავრობის საქმიანობა (Funke et al., 2015). ამ მოვლენებმა შესაძლოა ხელი შეუშალოს კრიზისების დაძლევას და იწვევს პოლიტიკურ პოლარიზაციას, შესაბამისად, ნელდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. 2008-2009 წლების გლობალური რეცესიის შემდეგ, საფრანგეთის არამდგრადი ეკონომიკური მდგომარეობა კარგად ასახავს იმ ეკონომიკურ პირობებს, რომლებიც ნეო-ნაცისტური პარტიების აღზევების ხელშემწყობი ფაქტორია. საფრანგეთის მშპ 2009 წლიდან მუდმივად იცვლებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კვლავაც არ დაბრუნებია 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის მწვავე პიკს, 2015 წელს საფრანგეთში მშპ-მ რეცესიის დასაწყისიდან მიაღწია ყველაზე დაბალ ნიშნულს და 2.438 ტრილიონი დოლარი შეადგინა (World Bank, 2015). თუმცა ამ პერიოდის შემდგომ იწყება საფრანგეთის მშპ ნელი ზრდა, რომელმაც 2.583 ტრილიონ დოლარს მიაღწია 2017 წელს (World Bank, 2017). მთლიანი უმუშევრობის დონე საფრანგეთში ანალოგიურ სქემის კვალდაკვალ განიცდიდა გავლენას, თანდათან იზრდებოდა და 2015 წელს 10,36%-ს მიაღწია, რაც საფრანგეთში 1999 წლის შემდეგ უმუშევრობის ყველაზე მაღალ მაჩვენებლად დაფიქსირდა (World Bank, 2018). 2015 წლიდან კი საფრანგეთში იწყება უმუშევრობის დონის ეტაპობრივი შემცირება და 2018 წელს 8.812%-ს მიაღწია

(World Bank, 2018). „ეროვნულმა ერთობამ“ საფრანგეთში სწორედ ამ პერიოდში მიაღწია მნიშვნელოვან საარჩევნო წარმატებებს, 2007-2008 წლებში პარტიამ განიცადა დაახლოებით 10% -იანი ზრდა როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივ არჩევნებში. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მარინ ლე პენის მხარდაჭერთა ხმები თითქმის გაორმაგდა ჟან მარი ლე პენის მიერ 2007 წლის არჩევნებში მოპოვებულ ხმების შედეგებთან შედარებით (Burscher B. & Vreese J.V., 2015). გარდა ამისა, 2009 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში „ეროვნულმა ფრონტმა“ მოიპოვა ხმების 6,34%, თუმცა პარლამენ-ტში მხოლოდ ოთხი მანდატის მოპოვება შეძლო და ქვეყნის მაშ-ტაბით მეექვსე პოზიცია დაიკავა. მიუხედავად აღნიშნული შედეგე-ბისა, 2014 წელს, პარტიამ მოიპოვა ხმათა უმრავლესობა 24,86%-იანი შედეგის მიღებით და შესაბამისად 74 მანდატიდან პარტიამ 24 მანდატი მიიღო ევროპარლამენტში (Europian Parliament, 2014). მოყ-ვანილი საარჩევნო სტატისტიკა და საარჩევნო მიღწევები ნათლად ცხადყოფს, რომ ეკონომიკური არასტაბილურობის პერიოდში ნეო ნაცისტური პარტიების პოლიტიკურ რიტორიკას გაცილებით უფ-რო მეტი ხიბლი აქვს ფრანგ ამომრჩევლებში. „ეროვნული ერთობის“ ეკონომიკური დღის წესრიგი ხელს უწყობს „ეკონომიკურ პატრი-ოტიზმს“ და ეროვნულ პრეფერენციებს, რაც მკაფიოდ ვლინდება „ეროვნული ერთობის“ საარჩევნო პლატფორმაში გაწერილი ისეთი დაპირებებით, როგორიცაა თუნდაც პარტიის მოთხოვნა, რომ და-წესდეს მაღალი გადასახადები იმ კომპანიებზე, რომლებიც თავი-ანთ პროდუქციას საფრანგეთის საზღვრებს გარეთ აწარმოებენ და საბოლოოდ დაუბრუნდნენ ეროვნული ვალუტას - „ფრანკს“ ("Le program de Marine Le Pen", 2012). „ეროვნული ერთობის“ მიერ წარ-მატებით გამოყენებული ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გამოწ-ვევები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ არსებული ეკონომიკური კრიზისის დროს, როდესაც საფრანგეთის მოქალაქეები განიცდიან ეკონომიკური არასტაბილურობის მწვავე შედეგებს, მათში ეკონო-

მიკურად მიმზიდველ კლიმატს ქმნის სწორედ „ეროვნული ერთობის“ პოლიტიკური პლატფორმა, უფრო მეტიც, ვლინდება ერთგვარი კორელაცია ქვეყნის გაუარესებულ ეკონომიკურ მაჩვენებელსა და „ეროვნული ერთობის“ მიერ მოპოვებულ საარჩევნო ხმებს შორის.

იმიგრაციის გავლენა ნაციონალურ სენტიმენტებზე

დღეს მკვლევრებში ეჭვს უკვე აღარ იწვევს აზრი, რომ ევროპულ დემოკრატიებში მიგრანტთა მზარდი ნაკადები ხელს უწყობენ ანტიმიგრაციული, ქსენოფობიური სენტიმენტების ზრდას მთელი ევროპის მაშტაბით და შესაბამისად, ევროკავშირის მოქალაქეების გარკვეული ნაწილი მიგრანტებს მიიჩნევს, როგორც შრომის ბაზარზე მათ უშუალო კონკურენტად, რომლებიც ამავდროულად მათი ქვეყნის კეთილდღეობის სისტემების მთავარი ბენეფიციარები არიან (უფასო სკოლები და საავადმყოფოები, პენსიები და სოციალური დახმარებები). ზოგიერთი ევროპელის აზრით, მიგრანტებს არ შეუძლიათ ადაპტაცია განიცადონ, მოერგონ ადგილობრივ კულტურასა და სოციალურ ნორმებს და შესაბამისად, ამ ფაქტორმა შესაძლოა ხელი შეუწყოს კრიმინალის მაჩვენებლის ზრდას ქვეყანში, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის და შეამცირებს ფრანგულ საზოგადოებაში დაცულობისა და უსაფრთხოების განცდას (Conversation, 2019). ფაქტია, რომ სრულიად შესაძლებელია მიგრანტთა მზარდი ნაკადების შემოდინების შედეგად მოსახლეობაში ჩამოყალიბებული მსგავსი სახის სენტიმენტების გავლენის საფუძველზე, ადგილობრივებმა მხარი დაუჭირონ ულტრა მემარჯვენე პარტიების მიერ გაჟღერებულ პოლიტიკასა და საარჩევნო დაპირებებს. უკიდურესი მემარჯვენე პარტიების მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა ევროპის არაერთ ქვეყანაში, რაც განსაკუთრებით მკაფიო გახდა გერმანიაში „ალტერნატივა გერმანიისთვის“ საარჩევნო წარმატებით, იტალიაში

„ჩრდილოეთის ლიგის“, ავსტრიაში „ავსტრიის თავისუფლების პარტიის“, შვეიცარიაში კი „შვეიცარიის ხალხის პარტიის“ და საფრანგეთში „ეროვნული ერთობის“-ის საარჩევნო წარმატებებითა და მხარდაჭერთა მზარდი მაჩვენებლით (Keaveny 2019). ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ულტრანაციონალისტური მოძრაობების აღმავლობას განიცდიან, ძირითადად არიან ევროპის ის სახელმწიფოები, სადაც მიგრაციამ უფრო ინტენსიური და მაშტაბური სახე შეიძინა.

„ეროვნული ფრონტის“ შექმნიდან მოყოლებული, ანტიმიგრაციული დისკურსი წარმოადგენდა პარტია „ეროვნული ფრონტის“ რიტორიკის, იდეოლოგიისა და კამპანიის მთავარ ლეიტმოტივს. ტრადიციული ლოზუნგები, როგორიცაა: „მილიონი უმუშევარი, მილიონი ემიგრანტიც ბევრია“! „საფრანგეთი და ფრანგები უპირველეს ყოვლისა“, „დაიცავით ჩვენი ფერები,” „ჩვენ საფრანგეთში ვართ“, აქტიურად გამოიყენებოდა „ეროვნული ფრონტის“ იმ დროინდელი ლიდერის ჟან-მარი ლე პენის გამოსვლებში, პრესრელიზებსა და კამპანიებში (Bariller &Timmermans, 1993). მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნული ფრონტის“ ერთი-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, მიგრაციის თემა კვლავაც შენარჩუნდა და ფაქტობრივად იგივე დარჩა ჟან მარი ლე პენის ქალიშვილის, მარინ ლე პენის პარტიული ლიდერობის პირობებშიც, აღნიშნულმა საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა პარტიის ანტიმიგრაციული დისკურსის ჩარჩო. 2007 წლის პარტიულ პროგრამაში, ჯერ კიდევ „ეროვნულმა ფრონტმა“ პირველად გააცნო საფრანგეთის მოქალაქეებს რეალური "ფაქტები მიგრაციის შესახებ" (France Politique, 2007). ჟან მარი ლე პენის საპრეზიდენტო პროგრამაში პირველი წინადადება სწორედ მიგრანტთა უხეშ თავდასხმებს ეხებოდა, პარტიულ პროგრამაში მოყვანილი იყო კონკრეტული სტატისტიკა და საუბარი იყო იმის შესახებ, რომ მიგრანტთა ხარჯები ქვეყნისთვის ყოველწლიურად 60 მილიარდ ევროს შეადგენდა, ხოლო საფრანგეთის

ციხის ბენეფიციარების 70 პროცენტი უცხოური იდენტობის მქონე პირებისგან შედგებოდა, რომლებიც ქვეყნის ლეგალ და არალეგალ მიგრანტებს წარმოდგენდნენ. უცხოელთა 95 პროცენტი საფრანგეთში სამუშაო ხელშეკრულების გარეშე შემოდიოდა, ხოლო ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის ბენეფიციარების 50 პროცენტსაც სწორედ უცხოელები წარმოადგენდნენ (Front National 2007: 2). როგორც პარტიის ლიდერი აცხადებდა, შემოსული მიგრანტები (როგორც ლეგალი, ასევე არალეგალი) სარგებლობდნენ სოციალური კეთილდღეობის სისტემებითა და სხვა სახის ბენეფიტებით, რომლებიც მათ არ გააჩნდათ საკუთარ სამშობლოში და შესაბამისად ფრანგული შრომის ბაზარი დაახლოებით 1 მილიონზე მეტ სამუშაო ადგილს საჭიროებდა, რაც მნიშვნელოვნად უკან სწევდა საფრანგეთის ეკონომიკას.

მარინ ლე პენის 2012 წლის საპრეზიდენტო პროგრამაში მიგრაციის თემა უწინდებურად პოლიტიკური დისკურსის მთავარ თემად აღარ ფიგურირებდა (Marine Le Pen, 2012). პროგრამაში ძირითადად აქცენტები გაკეთებული იყო ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ხელფასები, მსყიდველუნარიანობა და სოციალური და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. FN–ის ანტიემიგრაციული პლატფორმა ცალკე თვითმიზანს აღარ წარმოადგენდა პარტიულ პლატფორმაში, არამედ წარმოჩენილი იყო როგორც ჰოლისტიკური გადაწყვეტილების ნაწილი. გამოსავალად კი მიჩნეული იყო, რომ უმუშევრობა, სოციალური უსაფრთხოება და საფრანგეთის კულტურული და ინტელექტუალური ისტორია მხოლოდ მისი შენარჩუნებითა და მიგრაციის ნაკადების ეფექტური შემცირებით იქნებოდა შესაძლებელი. თავად მიგრაციის თემა კი პროგრამის შუაში, კერძოდ კი ეკონომიკურ პლატფორმას შორის იქნა განიხილული, რომელიც სოციალური და კულტურული საკითხების მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა. „ეროვნული ფრონტის“ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები მოიცავდა საჯარო სექტორში დასაქმების კუთხით ეროვნუ-

ლი უპირატესობის მინიჭებას და ყველა სახის პენსიის ანულირებას იმ უცხოელი ბენეფიციარებისთვის, რომლებსაც საფრანგეთში მინიმუმ 10 წლიანი მუშაობის სტაჟი არ ჰქონდათ (Burscher et al., 2015).

ზოგიერთი ანალიტიკოსისათვის და „ეროვნული ერთობის“ კრიტიკოსისათვის - რბილი ექსტერიერის მიღმა, ამ პოლიტიკური პარტიის პოლიტიკა კვლავაც ექსტრემალური რჩება. ”საფრანგეთის მოქალაქეობა ან უნდა იყოს მემკვიდრეობით მიღებული ან დამსახურებული,” - განაცხადა ქალბატონმა ლე პენმა და პირობა დადო, რომ შეაჩერებს უფასო განათლებას არალეგალი მიგრანტი ბავშვებისათვის. (BBC, 2017). 2017 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს მან ასევე დადო პირობა, რომ დაუყოვნებლივ შეაჩერებდა ყველა ლეგალურ მიგრაციას, რისთვისაც მას პირველ ყოვლისა სჭირდებოდა ფრანგი ხალხისა და საზოგადოების მხარდაჭერა.

დასკვნა

დღეს მნიშვნელოვანია საფრანგეთის „ეროვნული ერთობის“ წარმატებებისა და მხარდაჭერის მიზეზების იდენტიფიცირება, რომელიც იძლევა მნიშვნელოვან წარმოდგენას ევროპაში არსებული ნეო-ნაცისტური პოლიტიკური ძალების წარმატებებისა და მათი აღმავლობის მიზეზების შესახებ, თუ რა განაპირობებს ევროპულ დემოკრატიებში მსგავსი ულტრამემარჯვენე ძალებისადმი პოლიტიკურ სიმპათიებსა და მათ გარშემო ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზებას. 2017 წლიდან ნეო-ნაცისტურმა პოლიტიკოსებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საკუთარ ქვეყნებში, მათ შორის ბრაზილიაში, იტალიაში, უნგრეთში და ა.შ, ხოლო 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნებზე შეძლეს მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვება ისეთმა ნეო-ნაცისტურმა ძალებმა ევროპაში, როგორიცაა: „ეროვნული ერთობა“ საფრანგეთში, „ჩრდილოეთის ლიგა“ (იტალია), „თავისუფლების პარტია“ (ავსტრია), „შვედე-

თის დემოკრატები“ (შვედეთი), „ეროვნული ალიანსი“ (ლატვია), „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და ა.შ. აღნიშნულმა ძალებმა მოახერხეს ჰყოლოდათ საკუთარი მაჟორიტარები თავიანთ ქვეყნებში (Damgé & Breteau, 2019).

2017 წელს საფრანგეთში პრეზიდენტ მაკრონის ინაუგურაციის შემდეგ მისი პოლიტიკა განსაკუთრებით არაპოპულარული აღმოჩნდა საფრანგეთის მოქალაქეებში, რაზეც ასევე მიუთითებს საფრანგეთის მასშტაბით გამართული უკმაყოფილო მოსახლეობის მანიფესტაციები და ე.წ. „ყვითელი ჟილეტების მოძრობა“ (Gilets Jaunes), რომელიც პრეზიდენტს სხვა მოთხოვნების შესრულებასთან ერთად გადადგომისკენაც მოუწოდებდა. მოსახლეობის საერთო უკმაყოფილება საფრანგეთში მაკრონის პოლიტიკით, შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ ლე პენი და მისი პარტია 2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დიდი ალბათობით მის უშუალო კონკურენტადაც შეიძლება მოგვევლინოს.

„ეროვნული ერთობის“ მზარდი გავლენა ფრანგულ პოლიტიკაში და მისი წარმატებები საფრანგეთში გამართულ ბოლო წლების არჩევნებში კიდევ უფრო მკაფიო გახდა ფრანგი ელექტორატისათვის. ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტები და პარტიის რებრენდინგი არსებული წარმატების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. მარინ ლე პენის შიდა სტრატეგიამ პარტიის იმიჯის გარდაქმნის და კოორდინირებული ანტი-ლიბერალური პროექტის შემუშავების მიზნით, გაზარდა გავლენა საფრანგეთის პოლიტიკურ ლანდშაფტზე. „ეროვნული ერთობის“ ახალი პოლიტიკური დისკურსი გაცილებით ეფექტურად აყალიბებს პარტიის ანტიიმიგრაციულ ლაიტმოტივს და იყენებს დახვეწილ და გამოცდილ პოპულისტურ ტაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნული ერთობა“ წინა ლიდერის პერიოდის „ეროვნული ფრონტისგან“ განსხვავებით გაცილებით უფრო "მისაღებ" და ზომიერ რიტორიკას იყენებს, პარტია რეალურად არ გამხდარა უფრო ზომიერი, უფრო მე-

ტიც, პოლიტიკური პარტიის მთავარი მესიჯები - ეს იქნება ეროვ-ნული უპირატესობა, მისი ძლიერი ანტიმიგრაციული პლატფორმა, თუ უსაფრთხოების მკაცრი ზომები - არსებითად კვლავაც უც-ვლელი რჩება. შეიცვალა მხოლოდ პოპულისტური ტონი და მახა-სიათებლები, რომელსაც „ეროვნული ერთობა“ წარმატებით იყენებს საკუთარი პოლიტიკური განცხადებების შესაფუთად.

სხვა საკითხებთან ერთად, კეთილდღეობის შოვინიზმის, ქა-რიზმატული ლიდერობის, მარტივი და ემოციური რიტორიკისა და ანტი-ელიტიზმის გამოყენებით, „ეროვნული ერთობა“ გახდა პრო-ტოტიპული მემარჯვენე პოპულისტური პარტია, მიუხედავად იმისა, რომ მარინ ლე პენი მწვავედ რეაგირებს პატიის „უკიდურესი მემარჯვენეობის“ იარლიყზე. სოციალურ პლატფორმებზე აქტივო-ბითა და მითუმეტეს, იდეოლოგიური გადასინჯვის გზით პარტია კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. პოპულისტური და რესპუბ-ლიკური რიტორიკის გამოყენებამ, ანტიიმიგრაციული მესიჯების განახლებამ, ასევე მისმა უფრო ახალგაზრდა და დინამიურმა საზო-გადოებრივმა იმიჯმა გაზარდა ყოფილი „ეროვნული ფრონტის“ მხარდაჭერთა მაჩვენებელი; რომელიც უკვე თანაბარად იზიდავს, როგორც ქალ, ასევე მამაკაც ელექტორატსაც (Mayer, 2013) და გაცი-ლებით სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ფრანგ ახალ-გაზრდებს შორის (Arzheimer, 2012). ამასთან, პარტიის ბოლოდრო-ინდელ მხარდაჭერთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, ალ-ბათ თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარტიის იმიჯისა და მისი დისკურსის მცირეოდენმა ტრანსფორმაციამ დიდი გავლენა იქონია „ეროვნული ერთობის“ ელექტორატის მოთხოვნებზე. პარტიის მი-ერ შემოთავაზებული პოლიტიკა და გადაწყვეტილებები კარგად ეხ-მიანება ელექტორატის მოთხოვნებსა და საჭიროებებს, რომლებმაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განიცადეს ეკონომიკური, პოლიტიკური და იდენტობის კრიზისი და იმედგაცრუებულნი აღ-მოჩნდნენ ფრანგული მეინსტრიმული პარტიების პოლიტიკით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დარბაიძე ე.(2020). საფრანგეთის „ეროვნული ფრონტის“ გენდერული პოლიტიკა და საარჩევნო პროგრამების გენდერული ანალიზი, *პოლიტიკა,* მე-4 ტომი, I ნაწილი
2. Alduy C., &Wahnich S. (2016). Marine Le Pen Prises en Mots. Dectyptage du Nouveau Discours Frontiste. Paris: Seuil, 2015, 311p
3. Arzheimer, K. (2012), Electoral Sociology: Who Votes for the Extreme Right and Why and When?, pp. 36-40 in B. Uwe and P. Moreau .The Extreme Right in Europe. Current Trends and Perspectives. Göttingen: Vendenhoeck & Ruprecht
4. Barbiere. C. (May 27, 2019), France Posts Suprising Results in the Europena Elections, Retrieved decembre 5, 2019, from https://www.euractiv.com/section/eu-elections-2019/news/france-has-surprising-results-in-the-european-elections/
5. Bariller D.,&Timmermans F. (1993). 20 ans au Front. L'Histoire Vraie du Front National. Paris: Éditions Nationales
6. BBC. (2001). VOTE 2001. RESULTS & CONSTITUENCIES. Retrieved from http://news.bbc.co.uk/hi/english/static/vote2001/results_constituencies/uk_brea kdown/uk_full.stm
7. BBC News. (2005, September 08). UK Politics|Results. Retrieved from http://news.bbc.co.uk/2/hi/uk_news/politics/vote_2005/constituencies/default.st m
8. BBC News. (2015). Election 2010. Results/United Kingdom - National Results. Retrieved from http://news.bbc.co.uk/2/shared/election2010/results/
9. Breteau, P.,&Damgé, M.(2019, May 28). Elections européennes 2019: La progression des partis Eurosceptiques en carte. European Parliment elections 2019 : The progression of Eurosceptic parties in the cards. Le Monde. Retrieved from https://www.lemonde.fr/lesdecodeurs/article/2019/05/28/carte-la-progression-dispersee-des-partis-souverainistes-au-seinde-l-union europeenne_5468624_ 4355770.html

10. Burscher, B. Vreese J.V. (2015). Owning the Issues of Crime and Immigration: The Relation Between Immigration and Crime News and Anti-Immigrant Voting in 11 Countries. Electoral Studies, pp: 59-69.
11. Eller L., (2017). Explaining the Rise of Far-Right Political Parties in Europe, Universitu of Tennessee Research and Creative Exchange
12. Europian Parliament, resultats of the 2014 Europena elections, Retrieved 13 Decembre, 2019 from: https://www.europarl.europa.eu/elections2014-results/en/country-introduction-2014.html
13. European Parliament. (2014). Results of the 2009 European elections (Europe, European Parliament). European Parliament. (2014). Results of the 2014 European elections (Europe, European Parliament). France, European Election Database. (2007). Dataset: France: Parliamentary Election 1993- 2007
14. France Politique (2015). Elections. Retrieved August, 2015, https://www.france-politique.fr/elections-europeennes-1984.htm
15. France, European Election Database. (2007). Dataset: France: Parliamentary Election 1993-2007
16. Funke, M.,& Schularick M., &Trebesch C. (October 15, 2015). Going to Extremes: Politics after Financial Crises, 1870-2014. CESifo Working Paper Series No. 5553, Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=2688897
17. Lebourg N. "2007-2017: 10 ans de "Marino Lepenisme, Libeartion". Retrieved 21 Decembre, 2018 from: https://oeilsurlefront.liberation.fr/les-idees/2017/02/27/2007-2017-10-ans-de-marino-lepenisme_1552453
18. Le Front National (2007) Élection Présidentielle 2007: Programme. Available at: http://ipolitique. free.fr/francepolitique/lepen2007.pdf. Retrieved 15 November 2015
19. Lorriaux A., (2016, septembre, 30). Les Droits Extremes en Europe, Retrieved decembre 9, 2020, from https://tempspresents.com/2015/11/21/les-droites-extremes-en-europevideo-et-presentation/

20. Marine Le Pen, La Voix du People, l'Esprit de la France, Retrieved August 25, 2013, from https://www.rassemblementnational.fr/pdf/projet_mlp2012.pdf
21. Marine Le Pen Taking France's National Front out the Shadow, (07, mai, 2017), Retrieved August 12, 2010, from https://www.bbc.com/news/world-europe-12202197
22. Mayer N., (2013), From Jean-Marie to Marine Le Pen: Electoral Change on the Far Right, Parliamentary Affairs 66 (1): 160–176
23. Mon projet pour la France et la français. (2012). Le programme de Marine Le Pen. The political agenda of Marie Le Pen. Retrieved 10 Decembre, 2012, from https://www.rassemblementnational.fr/pdf/projet_mlp2012.pdf
24. Norris, P. (2005). Radical right: Voters and parties in the electoral market. Cambridge, UK: Cambridge University Press
25. Stockemer, Daniel (2014). Who are the Members of the French National Front? Evidence from Interview Research. French Politics 12 (1): 36-55.
26. Stockemer D.,&Barisione M.(2016). The New Discourse of the Front National Under Marine Le Pen: A Slight Change with a big impact, European Journal of Communication 32, (2)
27. The Impact of Immigration on EU Countries Nationalistc Sentiments, (May 28, 2019). The Conversation. Retrieved 20 May, 2019, from: https://theconversation.com/the-impact-of-immigration-on-eu-countries-nationalistic-sentiments-117632
28. Quencez M.& Michelot M. (2017). The Rise of The Front National. Taking Stock of Ten Years of French Mainstream Politics, Retrieved 20 Decembre, 2018, from: http://www.europeum.org/data/articles/the-rise-of-front-national.pdf2017. N 01.

Eka Darbaidze

The Rise of the Right-Wing Political Forces in France and the Successful Rebranding of the National Rally"

Abstract

Existing displeasure about multiculturalism, economic and growing migration criticism has led to an intensification of the threat of terrorism by activating radical right-wing political organizations in the EU. Strengthening their influence has made it impossible for Europe to repeatedly deny that radical right-wing forces are supported and Popularized in France, the Netherlands, Germany and Hungary. In France, "National Unity" is an ultra-right political organization, it was considered as an openly fascist and extremist party in French society, which couldn't reflect the demands of the society and consequently failed to respond to the political agenda of the French state. However, after Marine Le Pen became the leader of the mentioned political organization, she led the party to significant structural changes, and managed to mobilize a significant part of the French electorate around her.

The purpose of the article is to determine what factors have led to increased support for ultra-right-wing political forces and their political sympathies among French voters? During the economic crisis unemployment has become one of the most important challenges in many European countries, including France. The right of shelter and employment for migrants increases competition for low-paying jobs in the service sector, which has further exacerbated resistance to migrants in a relatively poor population. Changes in the party's political discourse, economic challenges and migrant crises are the factors that have contributed to the emergence of 'national unity' as one of the strongest anti-systemic movements in France. The policies and decisions proposed by the FN respond well to the demands of the French electorate, which for several years has experienced economic, political and identity crises and has been frustrated by the activities of mainstream parties in the French political landscape.

Keywords: "French National Front", "National Unity", Radical Right Party, Populism, Ultra-Right Forces.